

საქართველოს 2021 წლის მაკროეკონომიკური გარემო



წლიური მიმოსილვა



საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, 2022 წ.

შინაარსი

შესავალი.....	2
1. რეალური სექტორი.....	3
1.1 მთლიანი შიდა პროდუქტი დარგების და დანახარჯების მიხედვით.....	4
1.2 კოტეჯიური მთლიანი შიდა პროდუქტი და მთლიანი ფაქტორული პროდუქტიულობა.....	6
2. საგარეო სექტორი.....	10
2.1 მიმდინარე ანგარიშის ბალანსის დინამიკა.....	11
2.2 საგარეო ვაჭრობის დინამიკა (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე).....	15
2.2.1 ფულადი გზავნილები.....	22
2.2.2 სავრთაშორისო რეზერვები.....	23
2.3 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.....	24
3. ფისკალური სექტორი.....	27
3.1 საბიუჯეტო აგრეგატების მიმოხილვა.....	28
3.2 ფისკალური პოლიტიკის იმპულსი და ფისკალური სივრცე.....	30
4. მონეტარული სექტორი.....	33
4.1 ინფლაციის მიმოხილვა.....	34
4.2 საბანკო დეპოზიტები და სესხები.....	36
4.2.1 დეპოზიტები.....	36
4.2.2 სესხები.....	38
4.3 მონეტარული განაკვეთების მიმოხილვა.....	39
4.4 დეპოზიტური კორკორაციების მიმოხილვა.....	41
4.5 მონეტარული აგრეგატებისა და გაცვლითი კურსის მიმოხილვა.....	42

შესავალი

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მანდატის შესაბამისად, მაკროეკონომიკური გარემოს მიმოხილვა მიზნად ისახავს წარმოადგინოს ეკონომიკის სექტორების (რეალური, საგარეო, ფისკალური და მონეტარული) ქრილში ძირითადი ინდიკატორების მიმოხილვა და ანალიზი, ასევე შეაფასოს მაკროეკონომიკურ ინდიკატორებს შორის კავშირები საანგარიშო პერიოდში.



1. რეალური სექტორი

ძირითადი ინდიკატორების დინამიკა:

- მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) რეალურმა ზრდამ 2021 წელს 10.4% შეადგინა, ხოლო მშპ-მ ნომინალურ გამოსახულებაში - 60 232 მლნ ლარი. 2020 წელთან შედარებით, მშპ ერთ სულზე 2 920 ლარით გაიზარდა და ნომინალურ გამოსახულებაში 16 154 ლარს გაუტოლდა (5 015 აშშ დოლარი).

განმარტება: მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) წარმოადგენს დროის მოცემულ პერიოდში ქვეყნის შიგნით წარმოებული საბოლოო საქონლისა და მომსახურების ჯამურ ღირებულებას. მშპ ეკონომიკის ყველა სექტორის დამატებული ღირებულების ჯამია, რომელიც, თავის მხრივ, მთლიან გამოშვებასა და შუალედურ მოხმარებას შორის სხვაობას უდრის. ნომინალური მშპ გამოშვებას მიმდინარე ფასებში აფასებს, ხოლო რეალური - მუდმივ ფასებში. მშპ-ის შეფარდება მოსახლეობის რაოდენობასთან ქვეყნის განვითარების დონის შესაფასებლად ფართოდ გავრცელებული საზომია.

- 2021 წლის ეკონომიკური ზრდის შედეგად მშპ-ის პოტენციური დონიდან გადახრა მნიშვნელოვნად შემცირდა და მშპ-ის გაპი ზრდის მნიშვნელოვან ტემპს ავლენდა, კერძოდ, 2021 წელს ეკონომიკის აქტივობა 0.7%-ით ჩამორჩებოდა მის პოტენციურ დონეს.

განმარტება: პოტენციური მშპ წარმოადგენს რესურსების ნორმალური ინტენსივობით გამოყენების და, შესაბამისად, ინფლაციის სტაბილური დონის შესაბამის გამოშვებას. მშპ-ის გაპი ასახავს ფაქტობრივი მშპ-ის პოტენციური დონიდან გადახრის დონეს, რაც ინფლაციური ან დეფლაციური წნეხის შესახებ იძლევა ინფორმაციას. დროის ნებისმიერ მომენტში ფაქტობრივი მშპ, შესაძლოა, პოტენციურისგან განსხვავებული იყოს, რაც ეკონომიკური ციკლებითაა გამოწვეული.


- 2021 წელს წამყვანი როლი ეკონომიკურ აქტივობაში მთლიან ფაქტორულ პროდუქტიულობას ჰქონდა.

განმარტება: მთლიანი ფაქტორული პროდუქტიულობა ასახავს გამოშვებაზე იმ არადაკვირვებადი ფაქტორის გავლენას, რომელიც არ არის დაკავშირებული წარმოების ფაქტორებთან: შრომასა და კაპიტალთან. მთლიანი ფაქტორული პროდუქტიულობის (TFP) კონცეფცია მოიცავს ტექნოლოგიურ პროგრესს, ინსტიტუციურ ჩარჩოს და სტრუქტურულ ცვლილებებს.

1.1 მთლიანი შიდა პროდუქტი ღარგების და დანახარჯების მიხედვით

2021 წელს, წინა წელთან შედარებით, წინასწარი მონაცემების თანახმად, საქართველოს მშპ-ის რეალურმა ზრდამ 10.4% შეადგინა, რაც 6.1 პროცენტული პუნქტით (პპ) აღემატება მთავრობის მიერ 2020 წლის დეკემბერში გაკეთებულ პროგნოზს (4.3%), ხოლო 5.2 პპ-ით აღემატება პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ გაკეთებულ პროგნოზს (5.2%). ამავე პერიოდში ნომინალურმა მთლიანმა შიდა პროდუქტმა 10,964.9 მილიონი ლარით (22.3 პპ-ით) მოიმატა და 60,231.6 მილიონი ლარით განისაზღვრა.

მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებულმა მთლიანმა შიდა პროდუქტმა 2021 წელს 16,154 ლარს (5,015 აშშ დოლარს) მიაღწია, ანუ 2,920 ლარით (760 აშშ დოლარით) მეტს წინა წელთან მიმართებით.




დიაგრამა 1: მშპ ერთ სულ მოსახლეზე, ლარი. წყარო: საქსტატი.

ცალკეული კვარტალების მიხედვით, 2021 წლის პირველ კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, ქვეყნის ეკონომიკა შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა და მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურმა ზრდამ -4.1% შეადგინა, თუმცა მეორე კვარტლიდან შეინიშნებოდა ეკონომიკის მნიშვნელოვანი გამოცოცხლება და რეალური მშპ-ის ზრდის ტემპმა მეორე კვარტალში 28.9%, ხოლო მესამე და მეოთხე კვარტლებში შესაბამისად 9.1% და 8.8% შეადგინა. როგორც ჩანს, საქართველოში მაღალი ეკონომიკური აქტივობა 2021 წლის II კვარტლიდან დაფიქსირდა, რაც გამოწვეული იყო 2020 წლის COVID-19 პანდემიით გამოწვეული მაღალი კლების გამო არსებული ე.წ. საბაზისო ეფექტით და შეზღუდვების შემსუბუქება/გაუქმების ფონზე, როგორც მოთხოვნის, ისე მიწოდების ზრდით, აგრეთვე, მნიშვნელოვნად გამოცოცხლებული საგარეო ვაჭრობის ტემპით.

2021 წლის ბიუჯეტი დაიგეგმა 2020 წლის ბოლოსათვის არსებული მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების პროგნოზების გათვალისწინებით. აღნიშნული პროგნოზები, თავის მხრივ, ეყრდნობოდა COVID-19 პანდემიით გამოწვეული უარყოფითი შედეგებისა და პანდემიის შემდგომი ტალღების გავრცელების დაშვებებს, თუმცა აღნიშნული საპროგნოზო მაჩვენებლები შეიცვალა 2021 წლის II კვარტლიდან დაფიქსირებული ეკონომიკის მოსალოდნელზე მეტად ზრდის შემდეგ. შედეგად, 2021 წლის რეალური მშპ-ის ზრდის ტემპთან მიმართებაში პროგნოზები

შეიცვალა და 2021 წლის დეკემბრის თვეში მთავრობის მიერ გაკეთებული პროგნოზით შეადგინა 10.0%, ხოლო საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით 10.4%.

მშპ-ის დარგობრივ ჭრილში ანალიზიდან ვლინდება, რომ ეკონომიკის ზრდაზე, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, სახელმწიფო მმართველობის, განათლების და სუბსიდიების გარდა, ყველა დარგმა დადებითი გავლენა იქონია. 2021 წლის II კვარტლიდან კორონავირუსის პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვების ეტაპობრივმა შემსუბუქება/გაუქმებამ და აღნიშნულის ფონზე როგორც მოთხოვნის, ისე მიწოდების ზრდამ, აგრეთვე ვაქცინაციის პროცესმა და საგარეო ვაჭრობის ტემპის ზრდამ ეკონომიკური საქმიანობის გამოცოცხლება გამოიწვია, რაც დადებითად აისახა ეკონომიკურ ზრდაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ვაჭრობის (2.58 პპ), მრეწველობის (1.96 პპ), ტრანსპორტის (1.48 პპ), ხელოვნება, გართობა და დასვენების (1.15 პპ), ჯანდაცვის (1.11 პპ) და საფინანსო საქმიანობის (1.04 პპ) წვლილი. ასევე, საინტერესოა მშპ-ის დარგობრივი სტრუქტურის ანალიზი 2011-2021 წლებში. აღნიშნულ პერიოდში ეკონომიკური ზრდის მთავარი წარმმართველი დარგები იყო მრეწველობა, საფინანსო საქმიანობა, ოპერაციები უძრავი ქონებით და ვაჭრობა.




დიაგრამა 2: დარგების წვლილი მშპ-ის ზრდაში. წყარო: საქსტატი. საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშება

რაც შეეხება მშპ-ის ანალიზს დანახარჯების მიხედვით, 2021 წლის წინასწარ მონაცემებზე დაყრდნობით, საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, რეალური მშპ-ის 10.4%-იან ზრდაში წმინდა მოხმარების დადებითი წვლილი 8.9 პპ-ს აღწევს, ინვესტიციებმა უარყოფითი 3.1 პპ-იანი წვლილი შეიტანეს, ხოლო წმინდა ექსპორტის დადებითმა წვლილმა 4.5 პპ შეადგინა. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს ეკონომიკა წინა წლებისგან განსხვავებული სტრუქტურით და დინამიკით ხასიათდებოდა, გამომდინარე კორონავირუსის პანდემიიდან. 2020 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გამოცოცხლებული ეკონომიკური აქტივობების ფონზე, 2021 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლებიც, მათ შორის, დადებითი ტენდენცია შეინიშნებოდა მომსახურების ექსპორტში ტურისტული აქტივობის ზრდიდან

გამომდინარე. 2021 წელს დაფიქსირდა მომსახურების ექსპორტის 57.1% ზრდა, მთლიანობაში კი ექსპორტი 25.0%-ით გაიზარდა, მაშინ როდესაც 2015-2019 წლებში ამავე კომპონენტის საშუალო ზრდის ტემპი 8.9%-ს შეადგენდა, ხოლო 2020 წელს დაფიქსირდა მნიშვნელოვანი 37.6%-იანი კლება. მნიშვნელოვნად (8.5%-ით) გაიზარდა ასევე საქონლისა და მომსახურების იმპორტი (16.6%-იანი შემცირება 2020 წელს). 2021 წელს მოხმარების 9.4%-იანი ზრდა დაფიქსირდა, ხოლო რეალური ინვესტიციების კლებამ 12.9% შეადგინა (15.2%-იანი კლება 2020 წელს).

დანახარჯების მიხედვით მშპ-ის დინამიკის ანალიზიდან ირკვევა, რომ 2014-2019 წლებში ძირითადად მოხმარების, ინვესტიციებისა და ექსპორტის კომპონენტებს მშპ-ის რეალურ ზრდაში დადებითი წვლილი შეჰქონდა, ხოლო იმპორტს - უარყოფითი. თუმცა არსებობდა გამონაკლისი წლებიც, როდესაც აღნიშნული სტრუქტურულიდან ერთი ან ორი კომპონენტი ავლენდა განსხვავებულ დინამიკას. კორონავირუსის პანდემიიდან გამომდინარე, განსხვავებული დინამიკა შეინიშნებოდა 2020 წელს, როდესაც ზრდაში დადებითი წვლილი მოხმარებასთან ერთად იმპორტმა შეიტანა, ხოლო ინვესტიციებმა და ექსპორტმა - უარყოფითი. **წინასწარი მონაცემებით, 2021 წელს პანდემიამდელი პერიოდის, კერძოდ კი 2019 წლის მსგავსად, ზრდაში დადებითი წვლილი მოხმარებამ და ექსპორტმა შეიტანა, ხოლო ინვესტიციები და იმპორტი უარყოფითი წვლილით გამოირჩა.**




დიაგრამა 3: მშპ-ს ზრდა დანახარჯების მიხედვით. წყარო: საქსტატი, საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშება

1.2 კოტენციური მთლიანი შიდა პროდუქტი და მთლიანი ფაქტორული პროდუქტიულობა

მშპ-ის ფორმირება ძირითადად ხდება წარმოების ფაქტორების: სამუშაო ძალის და კაპიტალის გამოყენებით. ასევე, მხედველობაში მისაღებია ზემოაღნიშნული წარმოების ფაქტორების

პროდუქტიულობა/მწარმოებლურობა, ე.წ. მთლიანი ფაქტორული პროდუქტიულობა, რომლის შეფასებაც ყველაზე მეტ სირთულეს წარმოადგენს, რადგან იგი დაუკვირვებადი ფაქტორია და უამრავ კომპონენტს მოიცავს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **რეალური სექტორის შესახებ სრული სურათის მისაღებად მნიშვნელოვანია მთლიანი შიდა პროდუქტის კომპონენტების ანალიზი წარმოების ფუნქციაზე დაყრდნობით.**

საბიუჯეტო ოფისი აღნიშნული ანალიზისათვის იყენებს ე.წ. კობ-დუგლასის წარმოების ფუნქციას¹. კაპიტალის და სამუშაო ძალის ელასტიკურობის შეფასების შემდეგ, გაანგარიშებულ იქნა მთლიანი ფაქტორული პროდუქტიულობის ზრდის ტემპი, როგორც ნაშთი კობ-დუგლასის წარმოების ფუნქციიდან. მთლიანი ფაქტორული პროდუქტიულობის დინამიკა, კაპიტალის და სამუშაო ძალის ზრდის მაჩვენებლებთან ერთად, ნაჩვენებია დიაგრამა 4-ზე. როგორც დიაგრამაზეა წარმოდგენილი, **2021 წელს წამყვანი როლი ეკონომიკურ აქტივობაში მთლიან ფაქტორულ პროდუქტიულობას ჰქონდა.** რაც შეეხება ინვესტიციებს, 2021 წელს ინვესტიციები მნიშვნელოვნად შემცირდა, რამაც შეამცირა მთლიანი კაპიტალის მოცულობაც. ასევე აღსანიშნავია, რომ 2021 წელს კაპიტალის კლებასთან ერთად სამუშაო ძალის დიდი უარყოფითი წვლილიც დაფიქსირდა, თუმცა 2020 წელთან შედარებით აღნიშნული უარყოფითი წვლილი შემცირებულია.



დიაგრამა 4: მშპ-ის ანალიზი წარმოების ფუნქციით. წყარო: საქსტატი და საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშება


საინტერესოა მთლიანი ფაქტორული პროდუქტიულობის დინამიკის კავშირი ეკონომიკურ აქტივობასთან, რომლის შესაფასებლადაც მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ, რამდენად შეესაბამება მიმდინარე ეკონომიკური ზრდა იმ პოტენციალს, რომელიც ქვეყანას თავისი რესურსების ოპტიმალური ათვისებისა და გამოყენების პირობებში ექნებოდა. ყველაზე მართებულია, გაანგარიშდეს ე.წ. პოტენციური მშპ და შედარდეს ფაქტობრივ მდგომარეობას. აღნიშნული სხვაობა რეალურ და პოტენციურ მშპ-ის შორის იქნება ე.წ. მშპ-ის გაპი².

¹ იხილეთ საბიუჯეტო ოფისის 2015 წლის მაკროეკონომიკური გარემოს წლიური მიმოხილვა

² დამატებით, მშპ-ს გაპის შესახებ იხ. <http://pbo.parliament.ge/media/k2/attachments/KP0215.pdf>

თუ ფაქტობრივი მშპ აღემატება მის პოტენციურ დონეს, მაშინ სახეზე გვაქვს მშპ-ის დადებითი გაპი (ინფლაციური გაპი), ხოლო თუ ფაქტობრივი მშპ პოტენციურს ჩამორჩება, მაშინ ქვეყანაში მშპ-ის უარყოფითი გაპია, რასაც ხშირად რეცესიულ გაპსაც უწოდებენ. მშპ-ის პოტენციური დონის შეფასებისათვის ხშირად გამოიყენება როგორც სტატისტიკური მეთოდები (ჰოდრიკ-პრესკოტის, ბენდ-პასის ფილტრები), ისე - ეკონომიკურ თეორიაზე დაფუძნებული სხვადასხვა შეფასება (მაგ., კალმანის ფილტრი).


პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ პოტენციური მშპ-ის შესაფასებლად გამოიყენება ე.წ. კალმანის ფილტრი, რომელიც ემყარება კვარტალურ მონაცემებს და ერთმანეთთან აკავშირებს ეკონომიკურ აქტივობასა და ფასების დონის ცვლილებას. აღნიშნული შეფასების საფუძველზე შესწავლილი მშპ-ის გაპის მაჩვენებელი გამოსახულია დიაგრამა 5-ზე. როგორც დიაგრამაზე ჩანს, 2016 წლიდან უარყოფითი მშპ-ის გაპი არსებითი გაუმჯობესების ტენდენციას ავლენს, მაგრამ 2020 წელს COVID-19-ით გამოწვეულმა პრობლემებმა უარყოფითად იმოქმედა მშპ-ის გაპზეც და იგი მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2020 წელს ეკონომიკის აქტივობა 4.8%-ით ჩამორჩება მის პოტენციურ დონეს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლის ეკონომიკური ზრდის შედეგად მშპ-ის პოტენციური დონიდან გადახრა მნიშვნელოვნად შემცირდა და მშპ-ის გაპი ზრდის მნიშვნელოვან ტემპს ავლენდა, კერძოდ, **2021 წელს ეკონომიკის აქტივობა 0.7%-ით ჩამორჩებოდა მის პოტენციურ დონეს.**



დიაგრამა 5: მშპ-ის გაპი. წყარო: საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშება

აქვე აღსანიშნავია, რომ მშპ-ის პოტენციური დონიდან გადახრასა და მთლიანი ფაქტორების პროდუქტიულობის ტემპს შორის მნიშვნელოვანი დადებითი კორელაცია იკვეთება: იმ წლებში, როდესაც ქვეყანაში მთლიანი ფაქტორების პროდუქტიულობა იზრდებოდა, რეალური მშპ ან მის პოტენციურ დონესთან ახლოს, ან მასზე მეტი იყო, პროდუქტიულობის ტემპის შემცირება კი უარყოფითი გაპის პერიოდებს ემთხვევა. აღნიშნული ტრენდი შენარჩუნდა 2021 წელსაც,

როდესაც ფაქტორების პროდუქტიულობის ზრდის პარალელურად მშპ-ის უარყოფითი გაბი შემცირდა.



დიაგრამა 6: მშპ-ის გაბი და მთლიანი ფაქტორების პროდუქტიულობა. წყარო: საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშება

2. საგარეო სექტორი

ძირითადი ინდიკატორების დინამიკა:

- **საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ის მიმართ 9.8% შეადგინა, რაც 2.6 პპ-ით ნაკლებია წინა წელთან შედარებით.** აღნიშნული ძირითადად უკავშირდება იმ ფაქტს, რომ საანგარიშო პერიოდში მომსახურების სავაჭრო ბალანსი გაუმჯობესდა. ასევე, აღსანიშნავია საქონლის სავაჭრო ბალანსის და შემოსავლების ბალანსის უარყოფითი და ტრანსფერტების მნიშვნელოვანი დადებითი ეფექტები დეფიციტის მაჩვენებელზე.

განმარტება: საგადასახდელო ბალანსი წარმოადგენს კალენდარული წლის განმავლობაში ქვეყნის რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის საქონელთან, მომსახურებასთან და აქტივებთან დაკავშირებული ოპერაციების ჩანაწერს. მიმდინარე ანგარიშში საგადასახდელო ბალანსის ერთ-ერთი კომპონენტია, კაპიტალისა და ფინანსურ ანგარიშებთან ერთად. მიმდინარე ანგარიშში მოიცავს საქონლისა და მომსახურების ექსპორტთან და იმპორტთან, ასევე რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის შემოსავლების ნაკადებთან დაკავშირებულ ტრანზაქციებს.

- **უარყოფითი მიმდინარე ანგარიშის დაფინანსების ძირითად წყაროს სხვა ინვესტიციების მუხლი წარმოადგენს, რომლის მოცულობამ 2021 წელს 1,782 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.**

განმარტება: სხვა ინვესტიციების მუხლი წარმოადგენს ფინანსური ანგარიშის ნარჩენობით წევრს და მოიცავს ყველა იმ ფინანსურ ტრანზაქციას, რომელიც არ განიხილება პირდაპირ ინვესტიციად, პორტფელურ ინვესტიციად ან სარეზერვო აქტივად.


2.1 მიმდინარე ანგარიშის ბალანსის დინამიკა

2021 წელს ნომინალურ გამოსახულებაში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მოცულობა 2020 წელთან შედარებით 6.4%-ით შემცირდა და 1,836 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი ბალანსის აღნიშნული კლება დაკავშირებულია მისი შემადგენელი კომპონენტების დინამიკასთან:


- 2021 წელს Covid-19-ის პანდემიის უარყოფითი გავლენა შემცირდა საგარეო მოთხოვნაზე, რამაც საგადასახდელო ბალანსის გაუმჯობესებას შეუწყო ხელი. გასულ წელთან შედარებით, გაიზარდა როგორც საქონლის უარყოფითი სავაჭრო სალდო, ისე მომსახურების დადებითი სავაჭრო სალდო. ჯამურად, 2021 წელს მთლიანი უარყოფითი სავაჭრო სალდო გაუმჯობესდა. წინა წელთან შედარებით დადებითი ტენდენციით ხასიათდება ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები, რაც დადებითად აისახა მომსახურების ექსპორტის ზრდაზე და შესაბამისად, მომსახურების სავაჭრო სალდოზე. აღნიშნული, ძირითადად, გამოიხატა მომსახურების ექსპორტის 60.9%-ით ზრდაში, ამასთანავე, მნიშვნელოვნად გაიზარდა მომსახურების იმპორტი 25.2%-ით, რაც შეეხება საქონლის სავაჭრო სალდოს - ექსპორტის 27.4%-იანი, ხოლო იმპორტის 23.8%-იანი ზრდა დაფიქსირდა.
- 2021 წელს განსაკუთრებული როლი ითამაშა მომსახურების სავაჭრო სალდოს გაუმჯობესებამ (ძირითადად ექსპორტის ზრდის გამო), რომელიც მშპ-თან მიმართებით 3.1 პპ-ით გაუმჯობესდა და 3.9%-ს გაუტოლდა.
- მომსახურებით ვაჭრობიდან, მნიშვნელოვანი დადებითი ბალანსით გამოირჩეოდა ტურისტული მომსახურება (1,060.8 მილიონი აშშ დოლარი), რომელიც წინა წელთან მიმართებით 699.6 მილიონი აშშ დოლარით (193.7 პროცენტით) გაიზარდა. საანალიზო პერიოდში, ასევე, დადებითი იყო კავშირგაბმულობის (29.6 მილიონი აშშ დოლარი), კომპიუტერული და საინფორმაციო (93.7 მილიონი აშშ დოლარი), სამთავრობო მომსახურების (23.3 მილიონი აშშ დოლარი), პირადი, კულტურული და გასართობი მომსახურების (14.2 მილიონი აშშ დოლარი) ბალანსები. მეორე მხრივ, უარყოფითი იყო სატრანსპორტო (266.8 მილიონი აშშ დოლარი), სამშენებლო (6.5 მილიონი აშშ დოლარი), სადაზღვევო (106.1 მილიონი აშშ დოლარი), ფინანსური (3.2 მილიონი აშშ დოლარი), როიალტი და სალიცენზიო გადასახადი (55.5 მილიონი აშშ დოლარი) და სხვა საქმიანი მომსახურების (58.3 მილიონი აშშ დოლარი) ბალანსები.
- აღსანიშნავია, რომ საქონლის უარყოფითი სალდო გაიზარდა, მიუხედავად იმისა, რომ 2021 წელს ექსპორტის ზრდამ (27.4%) გადააჭარბა იმპორტის ზრდას (23.8%).
- 2021 წელს მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი ბალანსის შემცირებაზე მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა მოახდინა მიმდინარე ტრანსფერტების მოცულობის ზრდამ. აღნიშნულ პერიოდში წმინდა მიმდინარე ტრანსფერტების მოცულობა 2,302.5 მილიონი აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც წინა წელთან შედარებით 493 მილიონი აშშ დოლარით (27.2%-ით) მეტია. მათ შორის, სამთავრობო სექტორის ტრანსფერტებმა 114.4 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა (წმინდა მიმდინარე ტრანსფერტების მთლიანი მოცულობის 5%), ხოლო სხვა სექტორის ტრანსფერტებმა - 2,188.1 მილიონი აშშ დოლარი (95%).
- ამავე პერიოდში 368 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა შემოსავლების მუხლის უარყოფითი სალდო (-1,103 მლნ აშშ დოლარი), რამაც 2021 წლის მიმდინარე ანგარიშის ბალანსზე გაუარესებების მიმართულებით იმოქმედა.

საქართველოს საგადამხდელი ბალანსი (მლნ აშშ დოლარი)	2020					2021				
	I კვ	II კვ	III კვ	IV კვ	სულ	I კვ	II კვ	III კვ	IV კვ	სულ
მიმდინარე ანგარიში	-408.8	-418.4	-570.6	-564.5	-1962.3	-431.5	-483.3	-390.5	-531.1	-1836.4
ა. სავაჭრო ბალანსი	-883.4	-612.9	-783.0	-887.0	-3166.3	-806.0	-862.5	-1017.1	-1075.6	-3761.3
საქონლის ექსპორტი	1034.9	927.8	1183.0	1226.2	4371.9	1081.0	1384.2	1445.7	1659.2	5570.0
საქონლის იმპორტი	-1918.3	-1540.7	-1966.0	-2113.2	-7538.3	-1887.0	-2246.7	-2462.8	-2734.8	-9331.3
ბ. მომსახურების ბალანსი	248.8	5.5	-51.6	-73.8	128.8	19.5	143.0	392.7	170.1	725.2
მომსახურების ექსპორტი	734.6	262.3	291.4	288.9	1577.3	323.8	548.1	911.7	755.0	2538.6
მომსახურების იმპორტი	-485.8	-256.9	-343.1	-362.7	-1448.5	-304.3	-405.1	-519.0	-584.9	-1813.4
გ. წმინდა ფაქტორული შემოსავალი	-145.2	-149.9	-209.6	-229.7	-734.5	-142.2	-306.7	-347.4	-306.6	-1102.8
დ. წმინდა მიმდინარე ტრანსფერები	371.0	339.0	473.7	626.0	1809.7	497.2	542.9	581.4	681.0	2302.5
კაპიტალისა და ფინანსური ანგარიში	439.8	460.4	615.6	526.5	2042.4	451.9	437.5	347.7	576.1	1813.2
კაპიტალის ანგარიში	8.9	4.4	16.0	12.0	41.3	4.5	4.3	6.6	23.4	38.9
ფინანსური ანგარიში	430.9	456.0	599.6	514.5	2001.1	447.4	433.3	341.0	552.6	1774.3
აქედან:										
პირდაპირი ინვესტიციები	131.4	151.5	177.6	88.7	549.1	49.4	219.0	221.5	340.9	830.8
საერთაშორისო რეზერვების ცვლილება	97.9	-189.7	-118.2	-95.5	-305.5	-238.7	188.9	-180.1	-222.7	-452.6
წმინდა შეცდომები და გამოტოვებები	-31.0	-42.0	-45.0	38.0	-80.1	-20.4	45.8	42.8	-45.0	23.2

ცხრილი 1: საქართველოს საგადამხდელი ბალანსი. წყარო: ეროვნული ბანკი.




დიაგრამა 7: მიმდინარე ანგარიშის ბალანსი და მისი შემადგენელი კომპონენტები, % მშპ-თან, 2014-2021 წწ. წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



დიაგრამა 8: მიმდინარე ანგარიშის ბალანსის %-ული ზრდა და კომპონენტების წვლილები, 2014-2021 წწ. წყარო: ეროვნული ბანკი

მომსახურებით ვაჭრობის მაჩვენებლებიდან აღსანიშნავია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ **2021 წელს გაიზარდა როგორც საერთაშორისო მოგზაურების, ასევე საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტები.** საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობამ 1,881,271 შეადგინა, რაც 7.7%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები მოიცავს საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტებსაც, რომელიც 2021 წელს 1,721,242 იყო (ზრდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 13.7%).

2021 წელს შემოსავლებმა საერთაშორისო მოგზაურობიდან 1,245 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 129.8%-ით მეტია 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.




დიაგრამა 9: საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები და შემოსავლები საერთაშორისო მოგზაურობიდან, წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების წყაროებთან მიმართებაში:

- უარყოფითი მიმდინარე ანგარიშის დაფინანსების ძირითად წყაროს სხვა ინვესტიციების მუხლი წარმოადგენს, რომლის მოცულობაც 2021 წელს წინა წელთან შედარებით 147 მლნ აშშ დოლარით შემცირდა და 1,782 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.
- აღსანიშნავია, რომ მიმდინარე ანგარიშის დაფინანსების წყაროებიდან სხვა ინვესტიციებთან ერთად უმნიშვნელო დადებითი წვლილი პირდაპირმა ინვესტიციებმა³ შეიტანა. იგი 282 მლნ აშშ დოლარით გაუმჯობესდა და 831 მლნ აშშ დოლარის დონეზე დაფიქსირდა.
- აღსანიშნავია პორტფელის ინვესტიციების უარყოფითი წვლილი დაფინანსებაში, რომელიც 462 მლნ აშშ დოლარით შემცირდა და -387 მლნ აშშ დოლარის დონეზე დაფიქსირდა.
- რაც შეეხება კაპიტალის ანგარიშს, უარყოფითი მიმდინარე ბალანსის დაფინანსებაში უმნიშვნელო უარყოფითი წვლილი შეიტანა კაპიტალის მუხლში აღრიცხულმა ოპერაციებმა, რომლებიც 2020 წელთან შედარებით 5.9%-ით (2.4 მლნ აშშ დოლარი) შემცირდა და 38.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

მნიშვნელოვანია მიმდინარე ანგარიშის ბალანსის მოცულობის ანალიზი დანაზოგებთან და ინვესტიციებთან მიმართებაში. კერძოდ, მიმდინარე ანგარიშის ბალანსი წარმოადგენს სხვაობას დანაზოგებისა და ინვესტიციების მოცულობებს შორის. იმ შემთხვევაში, როდესაც მთლიანი დანაზოგები (მთავრობის და კერძო დანაზოგების ჯამური მოცულობა) აჭარბებს ინვესტიციების მოცულობას, წარმოიქმნება მიმდინარე ანგარიშის დადებითი სალდო. ხოლო, როდესაც დანაზოგები მცირეა ინვესტიციებთან შედარებით, მიმდინარე ანგარიშის სალდო დეფიციტურია. თავის მხრივ, დანაზოგები განკარგავდი შემოსავლისა და მოხმარების სხვაობას უტოლდება. შესაბამისად, დაბალი განკარგავდი შემოსავლის პირობებში დანაზოგების მოცულობა მცირეა. ასეთ დროს ინვესტიციების დაფინანსების წყაროს უცხოური სახსრები წარმოადგენს.



დიაგრამა 10: დანაზოგები-ინვესტიციები % მშპ-თან, 2004-2021 წწ. წყარო: საქსტატი, ეროვნული ბანკი, საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშებები

საქართველოსათვის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტური ბალანსი გამოწვეულია დანაზოგების მცირე მოცულობით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2016 წლიდან მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი

³ პირდაპირია ინვესტორი, რომელიც ფლობს საწარმოს აქციების არანაკლებ 10 პროცენტს ან ასეთი მონაწილეობის ექვივალენტს.


კლების ტენდენციას ავლენდა, რაც ძირითადად მთლიანი დანახოების მოცულობის ზრდას უკავშირდებოდა.

2021 წელს შემცირდა მთლიანი ინვესტიციების მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელი 23.9%-დან 21.9%-მდე. ბოლო წლების განმავლობაში ინვესტიციების მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელი მსგავს დინამიკას ინარჩუნებდა და დაახლოებით 26%-ის ფარგლებში ფიქსირდებოდა. 2021 წელს მთავრობის დანახოები დადებითი გახდა და მშპ-ს -1.1%-დან 0.7%-მდე გაიზარდა, ხოლო კერძო დანახოები 12.5%-დან 12.2%-მდე შემცირდა. აქედან გამომდინარე, დანახოების ზრდამ და ინვესტიციების შემცირებამ ერთი მიმართულებით იმოქმედეს საგარეო ინდიკატორებზე, რაც მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის კლებაში გამოიხატა.

2.2 საგარეო ვაჭრობის დინამიკა (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე)

2021 წელს:

- საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვა (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე), წინა წელთან შედარებით, 25.9%-ით გაიზარდა და 14,346 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მათ შორის, ექსპორტი 26.9%-ით გაიზარდა, ხოლო იმპორტი 25.5%-ით. ექსპორტით იმპორტის დაფარვის კოეფიციენტი კი შესაბამისად გაიზარდა და 42%-ით განისაზღვრა.
- საგარეო სავაჭრო დეფიციტი წინა წელთან შედარებით 24.5%-ით გაიზარდა და 5,862 მლნ დოლარი შეადგინა, ხოლო მისი თანაფარდობის მაჩვენებელი საგარეო საქონელბრუნვის მიმართ 40.9%-ს გაუტოლდა (2020 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 41.3%-ს შეადგენდა).




დიაგრამა 11: ექსპორტ-იმპორტის მოცულობა, მლნ აშშ დოლარი, 2013-2020 წწ. წყარო: საქსტატი.

	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
ექსპორტი	2,377	2,910	2,861	2,204	2,117	2,746	3,380	3,798	3,343	4,242
იმპორტი	8,056	8,023	8,602	7,304	7,342	8,057	9,362	9,519	8,053	10,104
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	10,433	10,933	11,463	9,508	9,459	10,803	12,742	13,318	11,396	14,346
სალდო	-5,680	-5,112	-5,741	-5,100	-5,225	-5,311	-5,982	-5,721	-4,709	-5,862
ექსპორტის წილი ბრუნვის მოცულობაში %	22.8%	26.6%	25.0%	23.2%	22.4%	25.4%	26.5%	28.5%	29.3%	29.6%
ექსპორტით იმპორტის დაფარვის კოეფიციენტი %	29.5%	36.3%	33.3%	30.2%	28.8%	34.1%	36.1%	39.9%	41.5%	42.0%

ცხრილი 2: საქართველოს საგარეო ვაჭრობის განმაზოგადებელი მაჩვენებლები 2012-2021 წლებში (მლნ აშშ დოლარი). წყარო: საქსტატი.


რეგიონულ ქრისტიანულ საგარეო სავაჭრო ბრუნვა შემდეგ ტენდენციას ავლენს:

2021 წელს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ევროკავშირის წილმა 21.1% შეადგინა, დსთ-ის ქვეყნების წილმა - 33.7%, ხოლო დანარჩენი ქვეყნების წილმა კი - 45.2%. საყურადღებოა, რომ ბოლო წლებში ევროკავშირის ქვეყნებთან სავაჭრო ბრუნვა მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა, გარდა 2019-2020 წლებისა, თუმცა 19%-იანი ზრდა დაფიქსირდა 2021 წელს წინა წელთან შედარებით, რაც ევროკავშირში როგორც ექსპორტის (2.9%), ისე აღნიშნული ჯგუფიდან იმპორტის (25.1%) ზრდით იყო გამოწვეული. 2021 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა ექსპორტი დსთ-ს ქვეყნებში 33.9%-ით, ხოლო იმპორტის 16.6%-იანი ზრდა დაფიქსირდა, საბოლოოდ კი დსთ-ს ქვეყნებთან სავაჭრო ბრუნვა 23.3%-ით გაიზარდა. 2021 წელს სავაჭრო ბრუნვა ასევე გაიზარდა დანარჩენ ქვეყნებთან (31.5%-ით), რაც ძირითადად ამ ქვეყნებიდან იმპორტის ზრდით იყო გამოწვეული (31.3%-ით). როგორც ვაჭრობის რეგიონული ანალიზიდან ჩანს, **2021 წელს იმპორტისა და ექსპორტის ზრდა დაფიქსირდა, როგორც ევროკავშირის, ასევე, დსთ-ს და დანარჩენი ქვეყნების ბაზრებიდან.**



დიაგრამა 12: სავაჭრო ბრუნვა რეგიონების მიხედვით, მლნ აშშ დოლარი, 2014-2021 წწ, წყარო: საქსტატი

2021 წელს საქართველოს ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს წარმოადგენდნენ: თურქეთი (2,151 მლნ აშშ დოლარი, მთლიანი საგარეო საქონელბრუნვის 15%), რუსეთი (1,633 მლნ აშშ დოლარი, 11%), ჩინეთი (1,481 მლნ აშშ დოლარი, 10%). აზერბაიჯანი (1,130 მლნ აშშ დოლარი, 8%) და აშშ (843 მლნ აშშ დოლარი, 6%). სავაჭრო ბრუნვის მთლიან მოცულობაში აღნიშნული 5 უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილი 50%-ით განისაზღვრა, ხოლო 10 ძირითადი სავაჭრო პარტნიორის - 69.5%-ით.



დიაგრამა 13: ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები სავაჭრო ბრუნვის მიხედვით, 2021 წ. წყარო: საქსტატი

ექსპორტის მაჩვენებლებზე დაყრდნობით, 2021 წელს საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებს წარმოადგენდნენ⁴:

- ჩინეთი (616 მლნ აშშ დოლარი, მთლიანი ექსპორტის 14.5%);
- რუსეთი (610 მლნ აშშ დოლარი, 14.4%);
- აზერბაიჯანი (532 მლნ აშშ დოლარი, 12.5%);
- თურქეთი (322 მლნ აშშ დოლარი, 7.6%);
- უკრაინა (307 მლნ აშშ დოლარი, 7.2%).

აღნიშნული 5 ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნის წილმა 2021 წელს ექსპორტის მთლიან მოცულობაში 56.3% შეადგინა (წინა წელს 52.9%), ხოლო 10-მა უმსხვილესმა ქვეყანამ - 77.3% (წინა წელს 74.2%), რაც იმაზე მიუთითებს, რომ 2020 წელთან მიმართებით, 2021 წელს ექსპორტი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების მიხედვით ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

იმპორტის მიხედვით, 2021 წელს საქართველოს ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს წარმოადგენდნენ⁵:

- თურქეთი (1,829 მლნ აშშ დოლარი, მთლიანი იმპორტის 18.1%);
- რუსეთი (1,023 მლნ აშშ დოლარი, 10.1%);
- ჩინეთი (865 მლნ აშშ დოლარი, 8.6%);


⁴ 2021 წელს, წინა წელთან შედარებით, 3 უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის მიხედვით საქართველოდან განხორციელებული ექსპორტი: გაიზარდა ჩინეთში 29%-ით და პირველი ადგილი დაიკავა ექსპორტიორ ქვეყნებში. უნდა აღინიშნოს, რომ ჩინეთი 2020 წელსაც პირველ ადგილს იკავებდა ექსპორტიორ ქვეყნებში (ძირითადად სპილენძის მადნების და კონცენტრატების 61%-იანი ზრდის გამო); აზერბაიჯანში 20.5%-ით გაიზარდა (ძირითადად მსუბუქი ავტომობილების და სამკურნალო საშუალებების ექსპორტის ზრდის გამო), რუსეთში კი 38.3%-იანი ზრდა დაფიქსირდა (ძირითადად მინერალური წყლების, ღვინის, სპირტიანი სასმელების, ფეროშენადნობების გავლენით).

⁵ წინა წელთან მიმართებით, 2021 წელს 3 უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის მიხედვით, საქართველოში განხორციელებული იმპორტის მოცულობაც გაიზარდა: თურქეთიდან 29.9%-ით (ძირითადად - მსუბუქი ავტომობილების, მედიკამენტების, შავი ლითონების, პლასტმასის ნაწარმის ექსპორტის ზრდის გამო); რუსეთიდან 15.1%-ით (ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ქვანახშირის, სატელეფონო აპარატების, ელექტროენერჯის გავლენით); ჩინეთიდან 22%-ით (ბირთვული რეაქტორები, დანადგარები და მექანიკური მოწყობილობები, მათი ნაწილები).


- აშშ (648 მლნ აშშ დოლარი, 6.4%);
- აზერბაიჯანი (598 მლნ აშშ დოლარი, 5.9%).

5 უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყნის წილმა მთლიან იმპორტში 49.1% შეადგინა (წინა წელს - 50.6%), ხოლო 10 იმპორტიორი ქვეყნის მიხედვით - 67% (წინა წელს - 68.9%), ანუ იმპორტიორი ქვეყნების დივერსიფიკაცია მცირედით გაუმჯესდა.


რაც შეეხება საგარეო სავაჭრო ბრუნვას სასაქონლო ჯგუფების მიხედვით, აღნიშნული მაჩვენებლების დინამიკა წარმოდგენილია დიაგრამებზე №13, №14 და №15.



დიაგრამა 14: ძირითადი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფების დინამიკა, 2018-2021 წწ. წყარო: საქსტატი




დიაგრამა 15: ძირითადი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფების დინამიკა, 2018-2021 წწ. წყარო: საქსტატი



დიაგრამა 16: საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა, 2021 წელი. წყარო: საქსტატი


როგორც დიაგრამებიდან ვლინდება:

- საქართველოდან განხორციელებული ექსპორტი ძირითადად რამდენიმე სახეობის საქონელზეა კონცენტრირებული, რაც საგარეო მოთხოვნის მკვეთრი რყევების პირობებში პოტენციური ეკონომიკური რისკების შემცველია. მაგალითად, 2012-2014 წწ. საქართველოდან ექსპორტის ერთ-ერთ უმსხვილეს სასაქონლო პოზიციას მსუბუქი ავტომობილები წარმოადგენდა (ძირითადად აზერბაიჯანში, სომხეთში, ყაზახეთში). იმპორტიორ ქვეყნებში მიღებული რეგულაციების გავლენით, 2015 წელს, აღნიშნული მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 65.4%-ით შემცირდა და მხოლოდ 179.1 მლნ დოლარი შეადგინა (მთლიანი ექსპორტის 8%). თუმცა, იმპორტიორ ქვეყნებში შემოღებული ახალი სტანდარტების გათვალისწინებით 2018 და 2019 წლებში ზრდა კვლავ შესამჩნევი იყო (განსაკუთრებით აზერბაიჯანსა და სომხეთში), 2019 წელს ზრდის ტემპმა 71% შეადგინა და 732.8 მლნ დოლარს მიაღწია (მთლიანი ექსპორტის 19%). 2020 წელს კორონავირუსის პანდემიამ გავლენა იქონია მსუბუქი ავტომობილების ექსპორტზეც, 45%-იანი კლების შემდეგ 404,1 მლნ დოლარი შეადგინა ექსპორტის მოცულობამ და 2019 წლის მოწინავე ადგილიდან მეორე პოზიციაზე გადაინაცვლა, 2021 წელს კი მესამეზე.



დიაგრამა 17: საქართველოს ექსპორტის სასაქონლო ჯგუფები, 2021 წელი, მლნ აშშ დოლარი. წყარო: საქსტატი.

- 2021 წელს საქართველოში განხორციელებული იმპორტის მთლიან მოცულობაში 5 ძირითადი სასაქონლო ჯგუფის ხვედრითი წილი 31.9% იყო (2020 წელს 31.1%), ხოლო 10 ძირითადი სასაქონლო ჯგუფის - 38.8% (2020 წელს 36.5%), რაც ექსპორტთან შედარებით, იმპორტის დივერსიფიკაციის უფრო მაღალ ხარისხზე მიუთითებს.



დიაგრამა 18: საქართველოს იმპორტის სასაქონლო ჯგუფები, 2021 წელი, მლნ აშშ დოლარი. წყარო: საქსტატი.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მნიშვნელოვანი სასაქონლო ჯგუფი კვლავ კონცენტრირებულია მხოლოდ ერთ ან რამდენიმე ქვეყანაზე, კერძოდ 2021 წელს ხორბლის იმპორტის უდიდეს წილს (99%) რუსეთიდან იმპორტირებული პროდუქცია შეადგენდა (2019 წელს 83.2%). კვლავ მაღალია, თუმცა შემცირდა ნავთობის აირების წილი აზერბაიჯანიდან, რომელმაც 2020 წელს 82.3% შეადგინა (2019 წელს 87.1%).

საქონელი							
ქვეყნები, რომელთა წილი აღემატება 10%-ს	სპილენძის მადნები	ფეროშენადნობები	მსუბუქი ავტომობილები	ღვინო	სპირტიანი სასმელები	მინერალური და მტკნარი წყლები	სასუქები
	10-50%		თურქეთი (10.5%)		უკრაინა (10.5%)		
ბულგარეთი (29.6%)			უკრაინა (19.3%)		რუსეთი (26.5%)	ლიეტუვა (13.2%)	რუმინეთი (25.4%)
		რუსეთი (36%)			უკრაინა (27.9%)	უკრაინა (18.5%)	უკრაინა (31.8%)
		აშშ (36.1%)				რუსეთი (43%)	
51-90%			აზერბაიჯანი (54.4%)	რუსეთი (54.7%)			
	ჩინეთი (60.9%)						

ცხრილი 3: 7 უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფები ქვეყნების მიხედვით, 2021 წელი. წყარო: საქსტატი

2021 წელს საქართველოდან ათი უმსხვილესი საექსპორტო საქონლის განაწილება დანიშნულების ქვეყნების მიხედვით უჩვენებს, რომ:

- სპილენძის მადნების და კონცენტრატების ექსპორტი ძირითადად ჩინეთსა (60.9%) და ბულგარეთში (29.6%) განხორციელდა;
- ფეროშენადნობების დიდი ნაწილი გავიდა აშშ-ში (36.1), აგრეთვე რუსეთსა (36%) და თურქეთში (10.5%);
- მსუბუქი ავტომობილების მნიშვნელოვანი ნაწილი გავიდა აზერბაიჯანსა (54.4%) და უკრაინაში (19.3%);
- ქართული ღვინის მნიშვნელოვანი იმპორტიორი ქვეყნები იყვნენ: რუსეთი (54.7%) და უკრაინა (10.5%);
- სპირტისა და სპირტიანი სასმელების მნიშვნელოვანი ნაწილი გავიდა უკრაინაში (27.9%), აგრეთვე რუსეთში (26.5%), საფრანგეთში (7.4%) და სხვა;
- მინერალური წყლის უმსხვილესს იმპორტიორ ქვეყანას რუსეთი წარმოადგენდა (43%), აგრეთვე - უკრაინა (18.5%), ლიეტუვა (13.2%), ყაზახეთი (8.9%) და სხვა;
- სასუქების ექსპორტირება ძირითადად მოხდა უკრაინასა (31.8%) და რუმინეთში (25.4%);
- თხილისა და კაკლის ექსპორტის შემთხვევაში იმპორტიორი ქვეყნების გეოგრაფიული არეალი საკმაოდ ვრცელი იყო, რომელთაგან აღსანიშნავია: იტალია (26.6%), გერმანია (22.5%), სომხეთი (6.8%), რუსეთი (4.7%) და სხვა;
- სამკურნალო საშუალებების ექსპორტირება ძირითადად მოხდა უზბეკეთსა (46.8%) და აზერბაიჯანში (18%);
- ოქროს ექსპორტი ძირითადად განხორციელდა შვეიცარიაში (95.6%).

საქონელი							
ქვეყნები, რომელთა წილი აღემატება 10%-ს	მსუბუქი ავტომობილები	სპილენძის მადნები	ნავთობი	სამკურნალო საშუალებები	ნავთობის აირები	სატელეფონო აპარატები	გამომთვლელი მანქანები
10 - 50 %			ბულგარეთი (13.9%)	თურქეთი (12.2%)		ჩეხეთი (11.5%)	
	იაპონია (17.9%)	ინდონეზია (18%)	აზერბაიჯანი (15.6%)	გერმანია (13.4%)	რუსეთი (26.5%)	რუსეთი (16.5%)	ჩინეთი (18.7%)
		ჩილე (18.5%)	რუმინეთი (16.3%)			ჰონ-კონგი (24.7%)	
			რუსეთი (16.4%)			არაბთა გაერთიანებული საემიროები (33.7%)	ჰონ-კონგი (39.5%)
		სომხეთი (47%)	თურქმენეთი (23.3%)				
51 < %	აშშ (60%)				აზერბაიჯანი (73.2%)		


ცხრილი 4: 7 უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფები ქვეყნების მიხედვით, 2021 წელი. წყარო: საქსტატი

2021 წელს საქართველოში ათი უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი ქვეყნების მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა:

- მსუბუქი ავტომობილების იმპორტი განხორციელდა უმთავრესად აშშ-დან (60%), იაპონიასა (17.9% და გერმანიიდან (8.9%);
- ნავთობი და ნავთობპროდუქტები ძირითადად მოწოდებული იქნა თურქმენეთიდან (23.3%), აგრეთვე რუსეთიდან (16.4%), რუმინეთიდან (16.3%), აზერბაიჯანსა (15.6%) და ბულგარეთიდან (13.9%);
- სპილენძი მოწოდებული იყო სომხეთიდან (47%), ჩილესა (18.5%) და ინდონეზიიდან (18%);
- საკმაოდ ვრცელი იყო სამკურნალო საშუალებების ექსპორტიორი ქვეყნების ჩამონათვალი, რომელთაგან აღსანიშნავია: გერმანია (13.4%), თურქეთი (12.2%), უნგრეთი (9.7%) და სხვა;
- ნავთობის აირების იმპორტი განხორციელდა ძირითადად აზერბაიჯანიდან (73.2%) და რუსეთიდან (26.5%);
- სატელეფონო აპარატების იმპორტი განხორციელდა უმთავრესად არაბთა გაერთიანებული საემიროებიდან (33.7%), ჰონ-კონგიდან (24.5%), რუსეთსა (16.5%) და ჩეხეთიდან (11.5%);
- გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების იმპორტი განხორციელდა ჰონ-კონგიდან (39.5%), ჩინეთიდან (18.7%) და სხვა ქვეყნებიდან;
- ვაქცინები, სისხლი და იმუნური პროდუქტები ძირითადად იმპორტირებული იყო ჩინეთიდან (28.3%), შვეიცარიიდან (18.5%), აშშ-სა (9.6%) და საფრანგეთიდან (8.9%);
- სატვირთო ავტომობილები უმთავრესად თურქეთიდან (97%) შემოვიდა;
- სიგარეტების მომწოდებელი ქვეყნები იყვნენ: უკრაინა (76.6%), სომხეთი (9.6%), არაბთა გაერთიანებული საემიროები (6.4%) და სხვა.

2.2.1 ფულადი გზავნილები


2020 წელთან შედარებით, 2021 წელს საქართველოში ფულადი გზავნილები 24.6%-ით გაიზარდა და 2,349.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნულ წელს გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (გზავნილების მთლიანი ოდენობის 40.7%), რუსეთი (17.5%) და აშშ (12.1%) წარმოადგენენ. უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წელს გაზრდილია არამხლოდ საქართველოში განხორციელებული გზავნილების ოდენობა, არამედ საქართველოდან სხვა ქვეყნებში გადარიცხული გზავნილების მოცულობაც 28.4%-ით, რამაც 316.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2020 წელთან შედარებით გზავნილების მოცულობამ მნიშვნელოვნად მოიმატა შემდეგი ქვეყნებიდან:



დიაგრამა 19: ქვეყნების % წილი საქართველოს ფულად გზავნილებში, 2021 წელი. წყარო: ეროვნული ბანკი.

- იტალიიდან (29.6%-ით, 385.7 მლნ აშშ დოლარი);
- რუსეთის ფედერაციიდან (13.0%-ით, 411.4 მლნ აშშ დოლარი);
- აშშ-დან (30.2%-ით, 284.3 მლნ აშშ დოლარი);
- საბერძნეთიდან (9.6%-ით, 240.1 მლნ აშშ დოლარი);
- ისრაელიდან (19.1%-ით, 186.7 მლნ აშშ დოლარი);
- გერმანიიდან (52.7%-ით, 113.3 მლნ აშშ დოლარი);
- უკრაინიდან (5.9%-ით, 92.7 მლნ აშშ დოლარი);
- აზერბაიჯანიდან (58.1%-ით, 85.2 მლნ აშშ დოლარი).

წინა წელთან შედარებით 2021 წელს გზავნილების მოცულობა შემცირდა თურქეთიდან 2.1%-ით და შეადგინა 104.5 მლნ აშშ დოლარი.




დიაგრამა 20: ფულადი გზავნილები საქართველოში, მლნ აშშ დოლარი. წყარო: ეროვნული ბანკი.

2.2.2 საერთაშორისო რეზერვები

2021 წლის ბოლოსათვის საერთაშორისო რეზერვების ოდენობა 4,272 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა (4.6 თვის იმპორტის ჯერადი⁶), რაც 2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 9.2%-ით მეტია. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 3,911 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა, რაც 5.2 იმპორტის ჯერადს წარმოადგენდა. ამასთან, 2021 წლის განმავლობაში

⁶ რეზერვების შესაბამისი დონის დასადგენად ნაკლებად მომწიფებული საბაზრო ეკონომიკებისთვის და ნაკლებად ღია კაპიტალის ანგარიშების მქონე ქვეყნებისთვის, იმპორტის ჯერადი ხშირად განიხილება, როგორც შესაბამისი საზომი, რაც ხაზს უსვამს იმას, თუ რამდენ ხანს შეიძლება შენარჩუნდეს იმპორტი შოკის შემთხვევაში. სამი თვის იმპორტი ჩვეულებრივ გამოიყენება როგორც საორიენტაციო ნიშანი. თუმცა, ამ საზომის გამოყენება ნაკლებად სასარგებლო გახდა ფინანსურად გახსნილი ქვეყნებისთვის.

ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონზე ვალუტის გაუფასურების საპასუხოდ 333 მლნ აშშ დოლარი გაყიდა.




დიაგრამა 21: ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები, მლნ აშშ დოლარი. წყარო : საქართველოს ეროვნული ბანკი; საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშება.

2.3 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2021 წელს:

- საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 1,153 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 101.6%-ით მეტია 2020 წლის მონაცემთან შედარებით. მათ შორის: ევროკავშირის ქვეყნებიდან ⁷ 328 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 28.4%), დსთ-ის ქვეყნებიდან 68 მლნ აშშ დოლარი (5.9%), დანარჩენი ქვეყნებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან 757 მლნ აშშ დოლარი (65.6%).
- საგადასახდელი ბალანსში აღრიცხულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 2021 წელს მნიშვნელოვნად არის გაზრდილი რეინვესტირებული თანხების მოცულობა. მისი წილის მაჩვენებელი საქართველოში განხორციელებულ ინვესტიციებში 66%-ია.


⁷ 2021 წლიდან გაერთიანებული სამეფო ევროკავშირის ქვეყნების ჯგუფიდან გადავიდა დანარჩენი ქვეყნების ჯგუფში




დიაგრამა 22: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა რეგიონულ ქრილში, 2013-2021 წწ. წყარო: საქსტატი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თანაფარდობის მაჩვენებელმა მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ 2021 წელს 6.2% შეადგინა.

რეგიონულ ქრილში, ძირითად ინვესტორ ქვეყნებს წარმოადგენდნენ: გაერთიანებული სამეფო (პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 51.8%), ნიდერლანდები (10.9%) ჩეხეთი (7.1%), თურქეთი (5.6%) და სხვა. ხოლო **დარგობრივ ქრილში**, ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა: საფინანსო სექტორში (პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 38.5%), ენერჯეტიკაში (13.6%), დამამუშავებელ მრეწველობაში (12.4%), უძრავ ქონებაში (7.3%) და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ მსხვილ საინვესტიციო დარგებში ყველაზე მეტად დივერსიფიცირებულია ენერჯეტიკა, სადაც 2021 წელს 4 სხვადასხვა ქვეყნის წილი 87.4%-ს შეადგენდა. ნაკლებ დივერსიფიცირებულია საფინანსო სექტორი და დამამუშავებელი მრეწველობის დარგები. საფინანსო სექტორში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 79.8% გაერთიანებულ სამეფოზე მოდის. რაც შეეხება დამამუშავებელ მრეწველობას, აღნიშნულ სექტორში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უმეტესი ნაწილი ნიდერლანდებიდან (63.6%) და რუსეთიდან (17.4%) განხორციელდა.



დიაგრამა 23: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით, 2021 წ. წყარო: საქსტატი



დიაგრამა 24: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრუქტურა ეკონომიკის სექტორების მიხედვით, 2021 წ. წყარო: საქსტატი

დარგები						
ქვეყნები, რომელთა წილი აღემატება 10%-ს	წილი	საფინანსო	ენერგეტიკა	დამამუშავებელი მრეწველობა	უძრავი ქონება	ჭანდაცვა და სოციალური მომსახურება
		10-50%		ლუქსემბურგი (10.6%)		მალტა (12.7%)
		მარშალის კ-ები (14.5%)	რუსეთი (17.4%)	გაერთანებული სამეფო (13.3%)	არაბთა გაერთიანებული საამიროები (14%)	
		ნიდერლანდები (18.6%)		გერმანია (19.2%)		
				რუსეთი (21%)	გაერთანებული სამეფო (28.9%)	
		ჩეხეთი (43.7%)		აშშ (37%)		
50<		გაერთანებული სამეფო (79.8%)		ნიდერლანდები (63.6%)		

ცხრილი 5: ძირითადი საინვესტიციო დარგების სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით, 2021 წ. წყარო: საქსტატი⁸

⁸ აღნიშნულ სტრუქტურაში ჯამურად 100%-ზე მაღალი წილი შესაძლოა გამოწვეულ იქნას ზოგიერთ ქვეყნის უარყოფითი მნიშვნელობით.

3.

ფისკალური სექტორი


ძირითადი ინდიკატორების დინამიკა:

- ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებმა 15,143 მლნ ლარი შეადგინა, რაც 22%-ით მეტია 2020 წლის მარვენებელზე.
განმარტება: ბიუჯეტის შემოსავლები მოიცავს საგადასახადო შემოსავლებს, გრანტებსა და სხვა შემოსავლებს.
- ხარტები, ე.წ მიმდინარე ხარტები წინა წელთან შედარებით 14.7%-ით (1,970 მლნ ლარით) გაიზარდა და 15,369 მლნ ლარი შეადგინა. ზრდის ტენდენციას ავლენს არაფინანსური აქტივების შექენაც (4.6%- ით, 174 მლნ ლარით), რამაც 3,963 მლნ ლარი შეადგინა.
განმარტება: ბიუჯეტის ხარტები (ე.წ. მიმდინარე ხარტები) მოიცავს შრომის ანაზღაურების, საქონლისა და მომსახურების, სოციალური უზრუნველყოფის და სხვა ხარტებს, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდა მოიცავს გრძელვადიან აქტივებში ინვესტიციებს.
- 213.6 მლნ ლარით გაიზარდა არაფინანსური აქტივების კლება, ე.წ პრივატიზაცია, და 2021 წელს 422 მლნ ლარი შეადგინა.
- 2020 წელთან შედარებით გაუმტობესდა ნაერთი ბიუჯეტის, როგორც საოპერაციო, ისე მთლიანი სალდო, შესაბამისად შემცირდა ბიუჯეტის დეფიციტიც (შეადგინა მშპ-ს 6.3%).
განმარტება: ბიუჯეტის სალდო ფისკალური პოლიტიკის შესაფასებლად აუცილებელი ინდიკატორია. სხვადასხვა მიზნისთვის გამოიყენება სხვადასხვა ტიპის სალდო. საოპერაციო სალდო ბიუჯეტის შემოსავლების და ხარტების სხვაობაა. მთლიანი სალდო (ბიუჯეტის დეფიციტი/პროფიციტი) საოპერაციო სალდოსა და არაფინანსური აქტივების წმინდა ცვლილების სხვაობას წარმოადგენს.

3.1 საბიუჯეტო აგრეგატების მიმოხილვა

2021 წელს:

- ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებმა 15,143 მლნ ლარი შეადგინა, რაც 22%-ით მეტია 2020 წლის მარვენებელზე. მათ შორის, საგადასახადო შემოსავლები გაიზარდა 22%-ით, გრანტები შემცირდა 14.3%-ით, ხოლო სხვა შემოსავლები გაიზარდა 36.6%-ით. 2020 წელს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის ტემპი უარყოფითი 3.9%-ის ტოლი იყო.
- გრანტებისა და სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულმა თანხებმა ერთობლივად მთლიანი შემოსავლების 11.6% შეადგინა, რაც უცვლელია გასულ წელთან შედარებით (2020 წელს - 11.6%).




დიაგრამა 25: ნაერთი ბიუჯეტის საბიუჯეტო შემოსავლების კომპონენტები, მლნ ლარი. წყარო: ფინანსთა სამინისტრო

გადასახადების ტიპების მიხედვით დინამიკის ანალიზისათვის საყურადღებოა 2016 წლის განხორციელებული სახაზინო რეფორმა, რომლის საფუძველზეც ამოქმედდა გადასახადის ერთიანი სახაზინო კოდი. შედეგად, გადასახადების მობილიზება ხდება აღნიშნულ ერთიან სახაზინო კოდზე და შემდეგ გადასახადი სახეების მიხედვით ნაწილდება ფაქტობრივად დეკლარირებულ ვალდებულებებზე, ქრონოლოგიური წესით, კუთვნილი სავადო თარიღის მიხედვით. აღნიშნულმა რეფორმამ, ერთი მხრივ, გაამარტივა გადასახადის გადამხდელთათვის გადახდის პირობები, თუმცა გამოიწვია ცვლილებები აღრიცხვის სპეციფიკასა და გადასახადების კლასიფიცირებაში და აღნიშნულის გავლენით, გამოწვევები შექმნა გადასახადების ტიპების მიხედვით შემოსავლების მობილიზების გასული წლების მონაცემებთან შესადარისობის კუთხით. ამასთან, 2020 წელს საგადასახადო შემოსავლებზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია Covid-19-ის პანდემიამ. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გადასახადების დინამიკაში 2021 წელს შემდეგი ტენდენციები გამოვლინდება:

- 2021 წელს, 2020 წელს დაფიქსირებული კლების შემდეგ, ზრდა დაფიქსირდა დამატებული ღირებულების და საშემოსავლო გადასახადებით მობილიზებულ თანხებში, შესაბამისად 24.6% და 13.5%-ით.

- 2021 წელს გაიზარდა მოგების და აქციზის გადასახადები, შესაბამისად 96 და 249 მლნ ლარით. აღსანიშნავია, რომ მოგების გადასახადის რეფორმის შემდეგ მოგების გადასახადი ზედიზედ მესამე წელს გაიზარდა.
- გაიზარდა ქონებისა და იმპორტის გადასახადები, შესაბამისად 77 და 12 მლნ ლარით.
- 2021 წელს, წინა წლისგან განსხვავებით, სხვა გადასახადების დადებითი მაჩვენებელი დაფიქსირდა 94 მლნ ლარის ოდენობით. სხვა გადასახადის ასეთი თავისებურება უკავშირდება სახაზინო კოდის რეფორმას და მასთან დაკავშირებულ ტექნიკურ პროცესებს (2016 წელს სხვა გადასახადები 27 მლნ-დან 527 ლარამდე იყო გაზრდილი, 2017 წელს იგი 527-დან 64 მლნ ლარამდე შემცირდა, 2018 წელს 115 მლნ ლარამდე გაიზარდა, 2019 წელს კვლავ უარყოფითი - 230 მლნ ლარი დაფიქსირდა, უარყოფითი იყო 2020 წლის მაჩვენებელიც - 246 მლნ ლარი);




დიაგრამა 26: გადასახადების წვლილი საგადასახადო შემოსავლების ზრდაში. წყარო: ფინანსთა სამინისტრო და საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშება

რაც შეეხება ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს, 2021 წელს:

- 2020 წლისაგან განსხვავებით გაიზარდა ე.წ. მიმდინარე ხარჯები (14.7%-ით), რამაც შემოსავლების ზრდასთან ერთად (766 მლნ ლარით) გააუმჯობესა ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდო და მნიშვნელოვნად გაზრდილი არაფინანსური აქტივების პარალელურად 18%-ით შეამცირა უარყოფითი მთლიანი სალდო;
- 2021 წელს ყველაზე მეტად გაიზარდა სოციალური უზრუნველყოფის (767 მლნ ლარით) და საქონლისა და მომსახურების (322 მლნ ლარით) მუხლით გაწეული ხარჯები, რომლებმაც ერთობლივად მიმდინარე ხარჯის ზრდის 56% შეადგინეს.
- ზრდის ტენდენციას ავლენს არაფინანსური აქტივების შეძენა, რომელიც 174 მლნ ლარით გაიზარდა და 3,963 მლნ ლარი შეადგინა.
- ჯამურად, ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი 2021 წელს 806 მლნ ლარით შემცირდა და 3,768 მლნ ლარი შეადგინა (მშპ-ს 6.3%).

2021 წელს ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსება ძირითადად მოხდა ვალდებულებების მუხლით, რომელიც წინა წელთან შედარებით 3,836 მლნ ლარით შემცირდა.

აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის დეფიციტის აღნიშნული მაჩვენებელი 1.2 პპ-ით ჩამორჩება მთავრობის მიერ 2020 წლის დეკემბრის თვეში ძირითადი ფინანსური და მაკროეკონომიკური ინდიკატორებით წარმოდგენილ დოკუმენტს (7.5%), ხოლო საბიუჯეტო ოფისის იმავე პერიოდის საპროგნოზო ინდიკატორს 0.6 პპ-ით ჩამორჩება (6.8%).



დიაგრამა 27: ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების წყაროების სტრუქტურა. წყარო: ფინანსთა სამინისტრო

3.2 ფისკალური პოლიტიკის იმპულსი და ფისკალური სივრცე

ფისკალური ინდიკატორების რაოდენობრივ შეფასებასთან ერთად ასევე მნიშვნელოვანია შევადგათ ფისკალური პოლიტიკის გავლენის მიმართულება ეკონომიკაზე. უნდა განვსაზღვროთ ფისკალურმა პოლიტიკამ წაახალისა ეკონომიკა (ექსპანსიური, მასტიმულირებელი), თუ შეზღუდა ეკონომიკური აქტივობა (შემზღუდავი). გარდა ამისა, ფისკალური პოლიტიკიდან უნდა გამოვრიცხოთ ე.წ. ავტომატური სტაბილიზატორები (რომლებიც ეკონომიკური ციკლების დროს იცვლება) და მხოლოდ უნდა განვიხილოთ, ე.წ. **დისკრეციული ფისკალური პოლიტიკა**. თავის მხრივ, დისკრეციული ფისკალური პოლიტიკა განხილული უნდა იქნეს ეკონომიკურ ციკლებთან მიმართებაში. როგორც ვიცით, ეკონომიკის მოკლევადიანი სტაბილურობისთვის გარდა ცალკეული გამონაკლისი შემთხვევებისა, საჭიროა, რომ ფისკალური პოლიტიკა ხელს უწყობდეს ეკონომიკური ციკლების მოსწორებას, მიმართავდეს რა კონსოლიდაციას ეკონომიკური ბუმის პერიოდში და - ექსპანსიას ეკონომიკის შენელებისას.


შესაბამისად, ფისკალური პოლიტიკის მიმართულებისა და ციკლურობის შესაფასებლად უნდა განვსაზღვროთ **ფისკალური პოზიცია**, როგორც ციკლურად კორექტირებული პირველადი სალდო და ბალანსი უარყოფითი ნიშნით. დადებითი ფისკალური პოზიცია ნიშნავს, რომ სახელმწიფო ეკონომიკაში მეტ რესურსს დებს, ვიდრე იღებს (ფისკალური ექსპანსია), ხოლო უარყოფითი ფისკალური პოზიცია ნიშნავს, რომ სახელმწიფო ეკონომიკიდან მეტ რესურსს იღებს, ვიდრე აბრუნებს (ფისკალური კონსოლიდაცია). ასევე, **განვსაზღვროთ ფისკალური იმპულსი**, როგორც ფისკალური პოზიციის ცვლილება. თუ გამოშვების გაპი მცირდება, ანტიციკლური ფისკალური პოლიტიკისთვის აუცილებელია ან ნაკლები კონსოლიდაცია (დადებითი გაპის დროს) ან მეტი ექსპანსია (უარყოფითი გაპის დროს), რაც ნიშნავს, რომ ფისკალური იმპულსი

დადებითი უნდა იყოს. თუ გამოშვების გაპი იზრდება, ანტიციკლური პოლიტიკისთვის აუცილებელია ან მეტი კონსოლიდაცია (დადებითი გაპის დროს) ან ნაკლები ექსპანსია (უარყოფითი გაპის დროს), რაც ნიშნავს, რომ ფისკალური იმპულსი უარყოფითი უნდა იყოს.⁹

2021 წელს ფისკალური პოზიცია ექსპანსიური იყო ანუ მიმართული იყო ეკონომიკის სტიმულირებისაკენ. 2020 წელს მშპ-ის ჩამორჩენა მისი პოტენციური დონიდან გაიზარდა და მნიშვნელოვანი უარყოფითი გაპი დაფიქსირდა, ასევე გაიზარდა ბიუჯეტის დეფიციტის მოცულობაც და რაც მთავარია დაფიქსირდა უარყოფითი ციკლურად შესწორებული პირველადი მთლიანი ბალანსი, რაც დადებით ფისკალურ პოზიციას ნიშნავს. ასევე აღსანიშნავია, რომ 2015-2018 წლებში მშპ-ს უარყოფითი გეპის პარალელურად, დისკრეციული ფისკალური პოლიტიკა არ იყო გაპის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული. ამ პერიოდში, თუ გამოვრცხავდით ფისკალური პოლიტიკიდან ციკლურ კომპონენტს და საპროცენტო ხარჯებს (რომელიც დისკრეციული პოლიტიკის შეფასებისთვის არ გამოგადგება), ციკლურად შესწორებული ბიუჯეტის სალდო მუდმივად დადებითი იყო, რაც ნიშნავს რომ 2015-2018 წლებში გვქონდა უარყოფითი ფისკალური პოზიცია.

2020 წელს დაფიქსირებული მაღალი უარყოფითი გაპის შემდეგ, 2021 წელს გაუმჯობესებული ეკონომიკური ზრდის ფონზე უარყოფითი გაპის სიდიდე შემცირდა, მაგრამ მშპ-ის ჩამორჩენა მისი პოტენციური დონიდან უმნიშვნელოდ მაინც შენარჩუნდა, ასევე წინა წლეთან შედარებით შემცირდა ბიუჯეტის დეფიციტის მოცულობაც და დაფიქსირდა უარყოფითი ციკლურად შესწორებული პირველადი მთლიანი ბალანსი, რაც დადებით ფისკალურ პოზიციას ნიშნავს.

როგორც დიაგრამა 19-ზე არსებული მშპ-ს გეპისა და ციკლურად შესწორებული მთლიანი პირველადი ბალანსის კომბინაცია გვიჩვენებს, 2021 წელს ფისკალური პოლიტიკა იყო ანტიციკლური, რამაც დადებითად იმოქმედა უარყოფითი მშპ-ს გეპის შემცირებაზე.




დიაგრამა 28: ფისკალური პოზიცია და მშპ-ს გაპი. წყარო: საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშებები

თუმცა ანტიციკლურობა ასევე შესაძლებელია შეფასდეს, დინამიკაში კიდევ უფრო მკაცრი კრიტერიუმით, ე.წ. ფისკალური იმპულსისა (ფისკალური პოზიციის ცვლილება) და მშპ-ს გეპის

⁹ დეტალური ინფორმაციის და მეთოდოლოგიისათვის იხილეთ პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის კვლევითი პუბლიკაცია: "ფისკალური პოლიტიკის შეფასება საქართველოსათვის: მიმართულება, ციკლურობა, მანევრირების რესურსი." <http://pbo.parliament.ge/media/k2/attachments/Fiscal Stance and Space.pdf>

ცვლილების კომბინაციით. აღნიშნული მიგვანიშნებს, რომ 2021 წელს ფისკალური იმპულსი უარყოფითი იყო ქვეყანაში (იგულისხმება, რომ ფისკალური პოზიცია ნაკლებად ექსპანსიური იყო წინა წელთან შედარებით და შედეგად მივიღეთ კონსოლიდაცია) და ვიანიდან 2021 წელს მშპ-ს უარყოფითი გეპის ზომა შემცირდა (იხ. დიაგრამა №5), ეს 2021 წელს ფისკალური პოლიტიკის ანტიციკლურ კონსოლიდაციაზე მიუთითებს.



დიაგრამა 29: ფისკალური იმპულსი და მშპ-ს გაპის ცვლილება. წყარო: საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშებები

4. მონეტარული სექტორი

ძირითადი ინდიკატორების დინამიკა:

- საშუალო წლიური ინფლაცია 9.6%-ის ნიშნულზე დაფიქსირდა, რაც აღემატება 3%-ან მიზნობრივ მაჩვენებელს. აღნიშნული ძირითადად განპირობებულია 2021 წელს სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე ფასების ზრდით.

განმარტება: ინფლაცია დროის გარკვეულ პერიოდში ეკონომიკაში საქონლისა და მომსახურების ფასების საერთო დონის ზრდაა. ინფლაციის საზომად, ძირითადად, გამოიყენება სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI), რომელიც ტიპური შინამეურნეობის მიერ მოხმარებისთვის შეძენილი საქონლისა და მომსახურების წარმომადგენლობითი კალათის ღირებულებას ასახავს.

- 2021 წელს 4.2 პპ-ით შემცირდა და 58.5% შეადგინა დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი. 2013 წლიდან დეპოზიტების დოლარიზაცია უწყვეტად იზრდებოდა, 2017-2019 წლებში კი კლების ტენდენცია შეინიშნებოდა.

განმარტება: დოლარიზაცია ადგილობრივი ვალუტის პარალელურად ეკონომიკური ტრანზაქციებისთვის უცხოური ვალუტის გამოყენების დონეს ასახავს. ადგილობრივი ვალუტის ჩანაცვლების მაჩვენებლებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმის ეფექტიანობაზე.

- მნიშვნელოვნად გაიზარდა დეპოზიტური კორპორაციების მიერ კერძო სექტორის დაკრედიტება.

განმარტება: დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვა წარმოადგენს ცენტრალური ბანკის, კომერციული ბანკების, საკრედიტო კავშირების და სხვა დეპოზიტური ინსტიტუტების ანგარიშს, რომელიც, სხვა ფინანსური კორპორაციების მიმოხილვასთან ერთად, ფინანსური კორპორაციების მიმოხილვას ქმნის. დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვა მოიცავს ცენტრალური ბანკისა და სხვა დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვას.


- გაუფასურდა ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებით.

განმარტება: გაცვლითი კურსი ადგილობრივი ვალუტის ერთეულის უცხოური ვალუტის ერთეულში ფასს ზომავს. ნომინალური გაცვლითი კურსისგან განსხვავებით, რეალური გაცვლითი კურსი ადგილობრივი პროდუქციის უცხოურ საქონელთან შეფარდებით ფასს ასახავს.

4.1 ინფლაციის მიმოხილვა

2021 წელს ფასების საშუალო საერთო დონე 2020 წელთან შედარებით 9.6%-ით გაიზარდა, რაც 2020 წლის საშუალო წლიურ ინფლაციაზე 4.3 პპ-ით მეტია. 2021 წლის წლიურმა (პერიოდის ბოლო) ინფლაციამ კი 13.9% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ეროვნული ბანკის მიზნობრივი ინფლაციის მაჩვენებელი 3%-ით არის განსაზღვრული.

როგორც დიაგრამა 21-ზე ჩანს, თითქმის ყველა სასაქონლო ჯგუფმა სამომხმარებლო ფასების ინფლაციის ზრდის მიმართულებით შეიტანა წვლილი. ამ მხრივ აღსანიშნავია სურსათი და უალკოჰოლო სასმელები (3.5% პპ-ით).



დიაგრამა 30: საშუალო წლიური ინფლაციის დეკომპოზიციის წყარო: საქსტატი


თუ განვიხილავთ 2021 და 2020 წლების ინფლაციის დეკომპოზიციას 12 სასაქონლო ჯგუფის მიხედვით (ცხრილი 4), კარგად ჩანს, რომ 2021 წელს ინფლაციაზე გავლენის მქონე პროდუქციის აღნიშნული სტრუქტურა განსხვავდება 2020 წლის მაჩვენებლისაგან, ასევე განსხვავდება მათზე მოქმედი ფაქტორებიც:

- 2020 წლისგან განსხვავებით 2021 წელს ტრანსპორტისა და დასვენება, გართობა, კულტურის სასაქონლო ჯგუფებმა ინფლაციაზე გავლენა ზრდის მიმართულებით იქონიეს, რაც ბუნებრივად გამომდინარეობს Covid-19-ის ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის და მისი მიზეზით დაწესებული შეზღუდვების მოხსნიდან გამომდინარე ამ ჯგუფებზე მოთხოვნის ზრდის შედეგად;
- 2021 წელს სურსათის ფასების ზრდის წვლილი ინფლაციაში კიდევ უფრო გაიზარდა წინა წელთან შედარებით, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად უკავშირდებოდა სურსათზე მსოფლიო ფასების მნიშვნელოვან ზრდას;
- 2021 წელს 2020 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერჯია, აირი და სათბობის სხვა სახეების ჯგუფის გავლენა ინფლაციაზე.

2021		2020	
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	3.45	3.28	სურსათი და უალკოჰოლო სასმელები
ტრანსპორტი	1.89	0.52	ჯანმრთელობის დაცვა
ჯანმრთელობის დაცვა	0.83	0.49	აგეტი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	0.69	0.47	სხვადასხვა საქონელი და მომსახურება
აგეტი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	0.65	0.42	ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	0.54	0.30	სასტუმროები, კაფეები და რესტორნები
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	0.46	0.11	განათლება
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	0.38	0.07	საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები
განათლება	0.13	0.02	ტანსაცმელი და ფეხსაცმელი
დასვენება, გართობა და კულტურა	0.12	-0.01	კავშირგაბმულობა
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	0.08	-0.09	დასვენება, გართობა და კულტურა
კავშირგაბმულობა	-0.01	-0.44	ტრანსპორტი

ცხრილი 6: საშუალო წლიური ინფლაციის დეკომპოზიცია, 2020-2021 წწ. წყარო: საქსტატი, საბიუჯეტო ოფისის განგარიშება

2021 წელს საქართველოსთან ერთად მნიშვნელოვანი დინამიკით ხასიათდებოდა მეზობელი ქვეყნების სამომხმარებლო ფასების ინდექსები. რეგიონის ქვეყნებში, გარდა თურქეთისა, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია დაახლოებით ერთნაირი დინამიკით ხასიათდება. კერძოდ, 2021 წელს თურქეთში წლიურმა ინფლაციამ 19.6% შეადგინა. შედარებით დაბალი იყო ინფლაციის დონე სომხეთში (7.2%), აზერბაიჯანსა (6.7%) და რუსეთში (6.7%).




დიაგრამა 31: მეზობელი ქვეყნების საშუალო წლიური ინფლაცია 2021წ. წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი.

4.2 საბანკო დეპოზიტები და სესხები

4.2.1 დეპოზიტები

დეპოზიტების ჯამური მოცულობა 2021 წლის დეკემბრის ბოლოსათვის წინა თვესთან



წლის დეკემბრის ბოლოსათვის წინა თვესთან შედარებით 1,315.5 მილიონი ლარით ანუ 3.6%-ით გაიზარდა და 38,035.4 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 2020 წლის დეკემბრის თვის მაჩვენებელთან შედარებით 2,610.4 მილიონი ლარით ანუ 7.4%-ით მეტია.

დეპოზიტების მოცულობა ეროვნულ ვალუტაში 2021 წლის დეკემბრის ბოლოსათვის წინა თვესთან შედარებით 803.1 მილიონი ლარით ანუ 5.7%-ით გაიზარდა და 15,014.8 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 2020 წლის დეკემბრის თვის მაჩვენებელთან შედარებით 1,572.4 მილიონი ლარით ანუ 11.7%-ით მეტია.

ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტების სტრუქტურაში 42.7 პროცენტი (6,415.4 მილიონ ლარი) ვადიან დეპოზიტებზე მოდის, რაც შეეხება მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ დეპოზიტების მოცულობას ეროვნულ ვალუტაში, ის 5,076.9 მილიონ

დიაგრამა 32: კომერციული ბანკების მიერ მოზიდული იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტების მოცულობა, მლნ ლარი. წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

ლარს შეადგენს და წინა თვის ანალოგიურ მაჩვენებელზე 158.5 მილიონი ლარით ანუ მხოლოდ 3.2%-ითაა მეტი, ხოლო 2020 წლის დეკემბრის მონაცემს 1,257.7 მილიონი ლარით ანუ 32.9%-ით აღემატება.


დეპოზიტების მოცულობამ უცხოურ ვალუტაში 2021 წლის დეკემბრის თვის ბოლოსათვის ეროვნულ ვალუტაში გამოსახულებით 23,020.7 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 2.3%-ით ანუ 512.4 მილიონი ლარით მეტია წინა თვის მაჩვენებელთან შედარებით, ხოლო 2020 წლის დეკემბრის მაჩვენებელს კი 1,038 მილიონი ლარით ანუ 4.7%-ით აღემატება.

უცხოურ ვალუტაში დეპოზიტების მოცულობამ მიმდინარე ანგარიშებზე 2021 წლის დეკემბრის თვის ბოლოსათვის 6,340.7 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა თვის მონაცემს (6,041.2 მილიონი ლარი) 299.5 მილიონი ლარით ანუ 5%-ით მეტია, ხოლო 2020 წლის დეკემბრის ანალოგიურ მაჩვენებელ 762.2 მილიონი ლარით ანუ 13.7%-ით აღემატება. 2021 წლის დეკემბერში დეპოზიტების მოცულობამ უცხოურ ვალუტაში ვადიან ანგარიშებზე 9,433.7 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 73.8 მილიონი ლარით ანუ 0.8%-ით ნაკლებია წინა თვის ანალოგიურ მაჩვენებელზე, ხოლო 2020 წლის დეკემბრის თვის მაჩვენებელზე 6.2%-ით ანუ 626.4 მილიონი ლარით ნაკლებს წარმოადგენს.

ფიზიკური პირების მიერ საბანკო სისტემაში განთავსებული მთლიანი დეპოზიტები

2021 წლის დეკემბრის თვის ბოლოს კომერციულ ბანკებში ფიზიკური პირების მიერ ეროვნულ ვალუტით განთავსებულმა დეპოზიტების მოცულობამ 5,384.7 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა თვის მარჯვენებელს 433.6 მილიონი ლარით ანუ 8.8%-ით აღემატება, ხოლო 2020 წლის დეკემბრის თვის მარჯვენებელთან შედარებით 906.4 მილიონი ლარით ანუ 20.2%-ით მეტი.

კომერციულ ბანკებში ფიზიკური პირების მიერ უცხოურ ვალუტაში განთავსებულმა დეპოზიტების მოცულობამ 2021 წლის დეკემბრის თვის ბოლოსათვის 14,847 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა თვის მარჯვენებელზე 253.5 მილიონი ლარით ანუ 1.7%-ით მეტია, ხოლო 2020 წლის ანალოგიურ მარჯვენებელს 870.5 მილიონი ლარით ანუ 6.2%-ით აღემატება.




დიაგრამა 33: ფიზიკური პირების მიერ კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტების მოცულობა, მლნ ლარი.
წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

იურიდიული პირების მიერ საბანკო სისტემაში განთავსებული მთლიანი დეპოზიტები


2021 წლის დეკემბრის ბოლოსათვის იურიდიული პირების მიერ საბანკო სექტორში ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების მოცულობამ 9,630.1 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა თვის მარჯვენებელზე 369.5 მილიონი ლარით, ანუ 4%-ით მეტია, ხოლო 2020 წლის ანალოგიურ მარჯვენებელს კი 666 მილიონი ლარით ანუ 7.4%-ით აღემატება.

2021 წლის დეკემბერში იურიდიული პირების მიერ საბანკო სექტორში უცხოურ ვალუტაში განთავსებულმა სახსრებმა 8,173.6 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა თვის მონაცემს 258.8 მილიონი ლარით ანუ 3.3%-ით აღემატება, ხოლო 2020 წლის ანალოგიურ მარჯვენებელზე 167.4 მილიონი ლარით ანუ 2.1%-ით მეტია.



დიაგრამა 34: იურიდიული პირების მიერ კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტების მოცულობა, მლნ ლარი. წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

4.2.2 სესხები



დიაგრამა 35: კომერციული ბანკების მიერ რეზიდენტებზე ეროვნული და უცხოური ვალუტით გაცემული სესხებით დავალიანება ეკონომიკის სექტორების მიხედვით, მლნ ლარი. წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

მარჩვენებელს 656.3 მილიონი ლარით ანუ 3.2%-ით აღემატება. აღნიშნული სესხების 35.5% (7,500 მილიონი ლარი) შინამეურნეობებზე მოდის.

სულ 2021 წლის დეკემბრის თვის ბოლოსათვის ეკონომიკისადმი მთლიანად გაცემული სესხების მოცულობამ 41,541 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა თვის მარჩვენებელზე 4.1%-ით ანუ 1,621.3 მილიონი ლარითაა მეტი, ხოლო 2020 წლის ანალოგიურ მარჩვენებელს 4,769.2 მილიონი ლარით


ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა დეკემბერში გაიზარდა და 20,424.5 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 662.2 მილიონი ლარით ანუ 3.4%-ით მეტია წინა თვის ანალოგიურ მარჩვენებელთან შედარებით, ხოლო 2020 წლის ანალოგიურ მარჩვენებელს 4,113 მილიონი ლარით ანუ 25.2%-ით აღემატება. აღნიშნული სესხების 68.8% (14,046 მილიონი ლარი) შინამეურნეობებზე მოდის.

უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების მოცულობამ დეკემბრის თვის ბოლოსათვის 21,116.5 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა თვის მარჩვენებელზე 959.1 მილიონი ლარით ანუ 4.8%-ით მეტია, ხოლო 2020 წლის ანალოგიურ

ანუ 13%-ით აღემატება. აღნიშნული სესხების 51.9% (21,546 მილიონი ლარი) შინამეურნეობებზე მოდის.

საკრედიტო რესურსების განაწილება ქვეყნის ეკონომიკის სექტორების მიხედვით

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკრედიტო რესურსების განაწილება ეროვნულ ვალუტაში ქვეყნის ეკონომიკის სექტორებს შორის უჩვენებს, რომ კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ვალუტაში იურიდიულ პირებზე გაცემული სესხებიდან (10,640 მილიონი ლარი) მრეწველობაში დაბანდებულ იქნა 3,429.5 მილიონი ლარი (32.2%), ვაჭრობაში 3,077.1 მილიონი ლარი (28.9%), ფინანსურ შუამავლობაში 1,316 მილიონი ლარი (12.4%), მშენებლობაში 1,110.7 მილიონი ლარი (10.4%) და სხვა სექტორებში - 1,706.7 მილიონი ლარი (16%).



ანალოგიურ პერიოდში იურიდიულ პირებზე საკრედიტო რესურსების (10,420.3 მილიონი ლარი) განაწილება უცხოურ ვალუტაში ქვეყნის ეკონომიკის სექტორებს შორის შემდეგია: მრეწველობა 2,813 მილიონი ლარი (27%), ვაჭრობა 2,697.8 მილიონი ლარი (25.9%), მშენებლობა 1,820.1 მილიონი ლარი (17.5%), ოპერაციები უძრავი ქონებით 1,106 მილიონი ლარი (10.6%) და დანარჩენი სექტორები 1,983.4 მილიონი ლარი (19%).

დიაგრამა 36: კომერციული ბანკების მიერ რეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების სტრუქტურა


4.3 მონეტარული განაკვეთების მიმოხილვა

2021 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 10.5%-მდე გაიზარდა, რაც 2.5 პპ-ით მეტია 2020 წლის ბოლოს არსებულ განაკვეთზე. 2021 წლის დასაწყისში განაკვეთი 8%-ს შეადგენდა, წლის განმავლობაში მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის სხდომა სულ 8-ჯერ გაიმართა, საიდანაც განაკვეთი მარტში 0.5 პპ-ით გაიზარდა, აპრილში - 1 პპ-ით, ხოლო აგვისტოსა და დეკემბერში 0.5 პპ-ით და წლის ბოლოს 10.5% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ 2017 წლის დასაწყისში, ერთჯერადი ფაქტორების შედეგად (აქციზის ზრდა და გაცვლითი კურსის გაუფასურება) ინფლაციის დროებითი ზრდის გამო, მონეტარული პოლიტიკა უმნიშვნელოდ გამკაცრდა. განაკვეთის შემდგომი მატება წლის შუაში ინფლაციური მოლოდინების ზრდას მოჰყვა, ხოლო წლის ბოლოს - ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის საგრძნობ გაუფასურებას, რამაც, ერთჯერადი ფაქტორების ამოწურვის მიუხედავად, ინფლაციაზე ზეწოლა გაზარდა. 2018 წელს განაკვეთის კლებას ჰქონდა ადგილი, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად, ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის მოსალოდნელზე სწრაფი გამყარების


შედეგად, შემცირებულ ინფლაციურ ზეწოლას უკავშირდება, რასაც ზომიერად გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკიდან გამოსვლის დაწყება მოჰყვა. იგივე გაგრძელდა 2019 წელს, მაგრამ 2019 წლის ბაზრულში ვალუტის კურსის მკვეთრი გაუფასურების საპასუხოდ, რომელმაც ინფლაციაზე მნიშვნელოვანი წნეხი მოახდინა, ეროვნულმა ბანკმა აგვისტოში არსებული 6.5 პროცენტიდან დეკემბრის ბოლოს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 9 პროცენტამდე გაზარდა. 2020 წელს პანდემიის გამო შემოღებული შეზღუდვების შედეგად შემცირებული ეკონომიკური აქტივების წახალისების მიზნით ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 1 პპ-ით შეამცირა და წლის ბოლოსთვის 8.0 პროცენტზე დააფიქსირა. 2021 წლის დასაწყისიდან ინფლაციური პროცესების საპასუხოდ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი კვლავ ზრდის ტენდენციას ავლენს და წლის ბოლოსთვის 10.5%-ი ფიქსირდება.

2021 წელს, 2020 წელთან შედარებით, საბაზრო საპროცენტო განაკვეთები შემცირდა როგორც მთლიან სესხებზე, ასევე დეპოზიტებზე. 2021 წელს სესხებზე საშუალო საპროცენტო განაკვეთმა 12.1% შეადგინა, რაც 0.1 პპ-ით ნაკლებია 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე, ხოლო დეპოზიტებზე საშუალო განაკვეთი 6.4% იყო (0.5 პპ-ით კლება). შესაბამისად, 0.4 პპ-ით გაიზარდა და 5.8%-ს მიაღწია საპროცენტო სპრედმა (განაკვეთებს შორის სხვაობა).



დიაგრამა 37: საპროცენტო განაკვეთები. წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

აღსანიშნავია, რომ 2021 წელს საშუალო საპროცენტო განაკვეთები ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ სესხებზე (15.6%, 0.1 პპ) შემცირდა, ხოლო დეპოზიტებზე (9.8%, 0.6 პპ) გაიზარდა. თუმცა შემცირდა საპროცენტო სპრედი, რომელმაც 5.9% შეადგინა (0.6 პპ-ით კლება). შემცირდა საშუალო განაკვეთები უცხოური ვალუტით სესხებზე (6.4%, -0.2 პპ) და დეპოზიტებზე (1.2%, -1,3 პპ), შესაბამისად სპრედი გაიზარდა სპრედის (5.2%, 1.1 პპ).




დაგრამა 38: საპროცენტო განაკვეთები ვალუტების მიხედვით. წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

4.4 დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვა

2021 წელს დეპოზიტური კორპორაციების წმინდა უცხოური აქტივები თითქმის 100%-ით შემცირდა და წლის ბოლოსთვის -11.2 მილიონი ლარი შეადგინა. მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკის წმინდა უცხოური აქტივები 5.8%-ით შემცირდა და 10.3 მილიარდ ლარს მიაღწია, ხოლო სხვა დეპოზიტური კორპორაციების (საბანკო სექტორის) წმინდა უცხოური აქტივები 3.1%-ით შემცირდა -10.3 მილიარდ ლარამდე.


თავის მხრივ, 2021 წელს 15%-ით გაიზარდა დეპოზიტური კორპორაციების წმინდა საშინაო აქტივები და წლის ბოლოსთვის 33.9 მილიარდი ლარი შეადგინა. მათ შორის, 13%-ით გაიზარდა და 45.4 მილიარდ ლარს მიაღწია წმინდა საშინაო დაკრედიტებამ, ხოლო სხვა წმინდა მუხლები 7.5%-ით შემცირდა -11.5 მილიარდ ლარამდე.



დაგრამა 39: დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვა. წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი (ათასი ლარი).

2021 წლის ბოლოსთვის დეპოზიტური კორპორაციების წმინდა საშინაო დაკრედიტებიდან ყველაზე დიდი წილი (48.1%) სხვა რეზიდენტი სექტორების (ფიზიკური პირების) დავალიანებაზე მოდიოდა - 21.8 მილიარდი ლარი (ზრდა - 14.1%). მომდევნო პოზიციაზე იყო (45.6%) სხვა არაფინანსური კორპორაციების დავალიანება, რომელმაც 20.7 მილიარდ ლარს მიაღწია (ზრდა - 10.7%). აღსანიშნავია, რომ 2021 წელს შენარჩუნდა 2015 წელს დაწყებული ტენდენცია, როდესაც ფიზიკური პირების დავალიანებამ მონაცემთა აღრიცხვის ისტორიაში პირველად გადააჭარბა სხვა არაფინანსური კორპორაციების დავალიანებას და წმინდა საშინაო დაკრედიტების ყველაზე მსხვილი მუხლი შეადგინა (2005 წლამდე ყველაზე მსხვილი მუხლი მთავრობის წმინდა დავალიანება იყო).

რაც შეეხება საშინაო დაკრედიტების სხვა მუხლებს, მთავრობის წმინდა დავალიანება წლის ბოლოსთვის 1.9 მილიარდ ლარს შეადგენდა, რაც წინა წელთან შედარებით 30.6%-იან ზრდას წარმოადგენს, სახელმწიფო არასფინანსური კორპორაციების დავალიანება - 163.5 მილიონ ლარს (კლება - 14.1%), ხოლო სხვა ფინანსური სექტორის დავალიანება - 751 მილიონ ლარს (ზრდა - 12.6%).




დიაგრამა 40: დეპოზიტური კორპორაციების წმინდა საშინაო დაკრედიტება და მისი კომპონენტები. წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი (ათასი ლარი).

4.5 მონეტარული აგრეგატებისა და გაცვლითი კურსის მიმოხილვა

2021 წლის ბოლოსთვის, 2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მონეტარული აგრეგატები M3 (33.8 მილიარდი ლარი) და M2 (16.1 მილიარდი ლარი), შესაბამისად, 11.4%-ითა და 17.9%-ით გაიზარდა. 12.9%-იანი ზრდა დაფიქსირდა M1 (11.3 მილიარდი ლარი) აგრეგატის და 5.1%-იანი კლება M0 (3.5 მილიარდი ლარი) აგრეგატის შემთხვევაში. 3.6%-ით შემცირდა და წლის ბოლოსთვის 10.4 მილიარდი ლარი შეადგინა სარეზერვო ფულმა. აღსანიშნავია, რომ 2015-2021 წლებში მონეტარული აგრეგატები უწყვეტი ზრდის ტენდენციით ხასიათდება, გარდა 2021 წლისა, როდესაც M0 აგრეგატი უმნიშვნელოდ შემცირდა.

2021 წელს 4.2 პპ-ით შემცირდა და 58.5% შეადგინა დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელმა. აღსანიშნავია, რომ დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი ზრდის ტემპით ხასიათდებოდა

2017 წლამდე. კერძოდ, 2016 წელს აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენდა 69.3%-ს, ხოლო 2017 წლიდან დაიყო კლება და 2019 წელს შეადგინა 61.0%. პანდემიის პერიოდში, კერძოდ კი 2020 წელს დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით კვლავ გაიზარდა 1.8 პპ-ით და შეადგინა 62.7%.



დიაგრამა 41: მონეტარული აგრეგატები. წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი (ათასი ლარი).

2021 წელს ლარის გაცვლითი კურსი გაუფასურდა შემდეგ ვალუტებთან მიმართებაში: ევრო (-6.9%), მოლდოვური ლეი (-1.3%), აშშ დოლარი (-3.5%), აზერბაიჯანული მანათი (-3.4%), სომხური დრამი (-0.5%), რუსული რუბლი (-1.4%) და უკრაინული გრივნა (-2.3%). თავის მხრივ, ლარი გამყარდა თურქულ ლირასთან (18.7%) და ბელარუსულ რუბლთან (0.6%) მიმართებით.

	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
ევრო	-6.9	-3.7	-7.6	-5.3	-5.2	-11.2	-6.9
დოლარი	-22.2	-4.1	-5.7	-1.0	-10.1	-9.3	-3.5
თურქული ლირა	-3.3	6.6	14.0	27.8	8.3	11.5	18.7
რუსული რუბლი	25.0	5.7	-17.5	6.2	-7.1	1.1	-1.4
აზერბაიჯანული მანათი	0.2	52.6	0.9	-2.4	-10.0	-9.3	-3.4
ბელარუსული რუბლი	20.3	20.7	-8.3	4.4	-7.8	5.7	0.6
მოლდოვური ლეი	3.5	2.5	-12.7	-9.8	-6.0	-10.8	-1.3
სომხური დრამი	-10.8	-3.3	-5.2	-0.9	-10.6	-7.7	-0.5
უკრაინული გრივნა	45.4	14.2	-1.6	1.2	-15.0	-5.0	-2.3

ცხრილი 7: ლარის გაცვლითი კურსის ცვლილება (ზრდა ნიშნავს გამყარებას). წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.